

საქართველოს კანონი

„სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში (პარლამენტის უწყებანი, №41, 8.10.1997. გვ. 15) შეტანილ იქნეს შემდეგი საჩის ცვლილებები:

1. კანონის მე-13 მუხლის 1^ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ადგილობრივი მმართველობის ორგანოს სამხედრო განყოფილება მოქალაქის პირველად სამხედრო აღრიცხვასა და სააღრიცხვო მონაცემებში შესული ცვლილებების შესახებ სრული მონაცემების ანგარიშს წარუდგენს საქართველოს პრეზიდენტს, აგრეთვე ამ მონაცემებს აცნობებს საქართველოს შეიარაღებული ძალების გაერთიანებულ შტაბსა და ფინანსთა სამინისტროს.“

2. კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. უმაღლესი სასწავლების დამთავრების შემდგომ, მოქალაქეს შეუძლია საქართველოს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის მიერ სამხედრო-სააღრიცხვო სპეციალობების მიხედვით განსაზღვრული რიცხოვნობის ფარგლებში, რეზერვის ოფიცრთა მომზადების ერთწლიანი პროგრამით მომზადება გაიაროს უმაღლეს სამხედრო სასწავლებელში, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ეროვნულ გვარდიაში ან საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებულ სხვა სასწავლებელში, რომლის დამთავრებისას მოქალაქეს მიენიჭება უმცროსი ლეიტენანტის პირველადი სამხედრო წოდება“.

3. კანონის მე-19 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ რეზერვისტთა მომზადების პროგრამას შეიქმნავენ საქართველოს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბი და საქართველოს თავდაცვის მინისტრის წარდგინებით ამტკიცებს საქართველოს პრეზიდენტი.

4. უმაღლეს სამხედრო სასწავლებელში, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ეროვნულ გვარდიაში ან საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებულ სხვა სასწავლებელში რეზერვისტთა რიცხოვნობას სამხედრო-სააღრიცხვო სპეციალობების მიხედვით განსაზღვრავს საქართველოს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბი.“

4. კანონის 23-ე მუხლის მე-3¹ პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3¹. გაწვევის განყოფილება გაწვევის მიმდინარეობისა და შედეგების შესახებ ადგილობრივი მმართველობის ორგანოებიდან მიღებულ ანფორმაციას შეგვერებულად საზიო წარუდგენს საქართველოს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბი.“

5. კანონის 33-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 33. სამხედრო თანამდებობანი

1. სამხედრო-სააღრიცხვო სპეციალობების მიხედვით სამხედრო თანამდებობათა ნუსხას ადგენს საქართველოს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის უფროსი თავდაცვის მინისტრთან შეთანხმებით ან შესაბამისი სამხედრო უწყების ხელმძღვანელი და დასამტკიცებლად წარუდგენს საქართველოს პრეზიდენტს.

2. ყოველი სამხედრო თანამდებობისთვის საქართველოს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბი თავდაცვის მინისტრთან შეთანხმებით ან სხვა შესაბამისი სამხედრო უწყება აწესებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს.“

6. კანონის მე-40 მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. სარეზერვო ფორმირებები კომპლექტება და მათი პირადი შემადგენლობა სათანადო სამხედრო მომზადებას გადის საქართველოს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის სამობილიზაციო გეგმის მიხედვით, რომელსაც თავდაცვის მინისტრის წარდგინებით ამტკიცებს საქართველოს პრეზიდენტი.“

7. კანონის 42-ე მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. საქართველოს სამხედრო ძალების რეზერვში მყოფი მოქალაქე სამხედრო სამსახურისათვის მომზადების ან გადამზადების მიზნით შეიძლება გაწვეულ იქნეს სამხედრო შეკრებაზე. სამხედრო შეკრების ჩატარების დროს, ადგილსა და ვადას განსაზღვრავს საქართველოს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბი და დასამტკიცებლად წარუდგენს თავდაცვის მინისტრს.“

8. კანონის 48-ე მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ვ) საქართველოს შეიარაღებული ძალების გაერთიანებულმა შტაბმა 2005 წლის პირველ იანვრამდე უზრუნველყოს რეზერვისტთა მომზადების პროგრამის შემუშავება და საქართველოს თავდაცვის მინისტრისთვის დასამტკიცებლად წარდგენა.“

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.